ბიპი აფართოებს ბიზნესს აზერბაიჯანში, მას შემდეგ რაც განაცხადა თანხმობა ახალი სტრატეგიული პროექტის განხორციელებაზე და მოიპოვა უფლება საძიებო სამუშაოების წარმოებაზე

3 ივნისი 2025 წელი

ბიპი თავის პარტნიორებთან ერთად მთელი რიგი ხელშეკრულებების მონაწილე გახდა, რომელთა მიზანია სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე გაზის და ნავთობის პროექტებში წილობრივი მონაწილეობის ზრდა და გაფართოება. რაც ნიადაგს უქმნის როგორც განვითარებას და დამატებითი რაოდენობების წარმოებას, ასევე ქვეყანასთან და სახელმწიფო კომპანიასთან, სოკართან, პარტნიორობის გაღრმავებას.

ხელშეკრულებები, რომლებსაც ხელი მოეწერა ბაქოს ენერგო-კვირეულის მიმდინარეობისას, მოიცავს საბოლოო საინვესტიციო გადაწყვეტილებას პროექტების მომდევნო ძირითადი ეტაპის განვითარების შესახებ: კერძოდ, ეს ეხება გიგანტური შაჰ-დენიზის გაზის საბადოს - შაჰ დენიზის საკომპრესერო - ასევე ორი პროექტის - ტერმინალის ელექტრიფიკაციის და მზის ენერგიის პორექტებს - ორივე ერთად საოპერაციო ემისიების შემცირების შესაძლებლობას ქმნის. ისინი ასევე მოიცავენ ხელშეკრულებებს, რომელთა თანახმად ბიპის ეძლევა ლიცენზია ორ ახალ საბადოზე ძიების და განვითარების სამუშაოების ჩასატარებლად და მესამეზე ახალი პარტნიორის შემოყვანის საძიებო სამუშაოების დასაჩქარებლად.

ეს ხელშეკრულებები ასახავს ბიპის სტრატეგიას და მიმართულია აქციონერებისთვის გრძელვადიანი სარგებლის ზრდაზე, ხელს უწყობს მოპოვების და წარმოების ბიზნესს, და ხაზს უსვამს ბიპის ვალდებულებას აზერბაიჯანისადმი.

ბიპი 33 წელია აზერბაიჯანში ბიზნესსაქმიანობას ეწევა. მისი თაოსნობით მიმდინარეობდა აზერი-ჩირაგ-ღრმაწყლიანი გუნაშლის (ACG) ნავთობის საბადოს განვითარება, შაჰ-დენიზის გაზის საბადოს და სანგაჩალის ძირითადი საპროცესო და საექსპორტო ტერმინალის განვითარება, და სამივე ობიექტის ოპერატორიც თავადვეა. ბიპის თაოსნობით განხორციელდა მათთან ასოცირებული საექსპორტო

მილსადენების პროექტები, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის (BTC) ნავთობის მილსადენი და სამხრეთის გაზის დერეფნის (SGC) გაზის მილსადენების ქსელი.

გორდონ ბირელმა, ბიპის აღმასრულებელმა ვიცე პრეზიდენტმა, წარმოების და ექსპლუატაციის საკითხებში განაცხადა: „ჩვენ ვამაყობთ გრძელვადიანი და წარმატებული პარტნიორობით რომელიც აზერბაიჯანთან გვაკავშირებს უკვე 30 წელზე მეტია. როგორც ამ კვირაში ხელმოწერილი ხელშეკრულებები ადასტურებენ, ჩვენ მრავალ შესაძლებლობას ვხედავთ შემდგომი განვითარებისთვის და ზრდისათვის. ვაგრძელებთ რა ჩვენი სტრატეგიის განხორციელებას მოპოვებისა და ექსპლუატაციის ზრდის მიმართულებით, ჩვენ გავამყარებთ ჩვენ პოზიციებს ისეთ რეგიონებში, როგორიც აზერბაიჯანია და ჩვენ მჭიდრო ურთიერთობებს მთავრობასთან და პარტნიორებთან.

„შაჰ-დენიზის - ჭეშმარიტად მსოფლიო დონის გაზის საბადოს - განვითარების შემდეგი ფაზა შესაძლებლობას იძლევა მოვიძიოთ ახალი რესურსები, გავაფართოვოთ წარმოება და ხელი შევუწყოთ გაზის უწყვეტ მიწოდებას ევროპელი მომხმარებლისთვის, რაც მნიშვნელოვანია. ინოვაციური ურთიერთდაკავშირებული ელექტრიფიკაციის და მზის ენერგიის პროექტები ხელს შეუწყობენ საწარმოო ემისიების შემცირებას აზერბაიჯანში, რაც თავის მხრივ გამოათავისუფლებს საწვავ გაზს ექსპორტისთვის. ჩვენ სიამოვნებით ვითანამშრომლებთ სოკართან და TPAO-სთან მოძიების სამუშაოების დასაჩქარებლად და სხვა შესაძლებლობების მოსაძიებლად.“

ეს პორექტები სრულად ჯდება ბიპის ფინანსურ ჩარჩოში. შაჰ-დენიზის საკომპრესორო პორექტი ერთ-ერთია იმ 8-10 ძირითადი პროექტიდან, რომლებიც სავარაუდოდ 2028 და 2030 წლებში დაიწყება, როგორც ეს ბიპის კაპიტალის ბაზრის შესახებ ანგარიშგების დროს გაცხადდა. სავარაუდო მოლოდინის თანახმად, მისი წვლილი ბიპის გლობალური წარმოების და ექსპლუატაციის ბიზნესში იქნება დაახლეობით 2,3-2,5 მილიონი ბარელი ნავთობი დღეში 2030 წლისთვის, შემდგომი ზრდის შესაძლებლობით 2035 წლამდე.

დამატებითი ინფორმაცია ხელმოწერილ ხელშეკრულებებზე

შაჰ-დენიზის კომპრესიის პროექტი

ბიპიმ და პარტნიორებმა დაამტკიცეს შაჰ-დენიზის გაზის საბადოს განვითარების შემდეგი ფაზა. საბადოს ოპერატორია ბიპი 29.99% წილობრივი მონაწილეობით.

2.9 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების პორექტი - საბადოს განვითარების მესამე ფაზაა - და მისი მიზანია მოიპოვოს და აწარმოოს დაბალი წნევის გაზის რესურსები გიგანტური გაზის საბადოდან, გაზარდოს რესურსების აღდგენა და წარმოების ვადა.

პროექტი, რომელშიც შედის ახალი ავტომატური საკომპრესეორო პლატფორმის მონტაჟი, სავარაუდო მოლოდინის თანახმად დამატებით ჯამში 50 მილიარდი კუბური მეტრი გაზის და 25 მილიონი ბარელი კონდენსატის წარმოების შესაძლებლობას იძლევა. სავარაუდოდ პირველ გაზს პროექტი 2029 წელს მიიღებს.

შაფაგის მზის ენერგიის და სანგაჩალის ელექტრიფიკაციის პროექტები

ბიპიმ და პარტნიორებმა თანხმობა განაცხადეს შაფაგის მზის ენერგიის და სანგაჩალის ტერმინალის ელექტრიფიკაციის ურთიერთდაკავშირებული პროექტების განვითარების დაწყებაზე.

აზერბაიჯანის ჯაბრაილის მხარეში მდებარე ახალი 240 MW-იანი შაფაგის მზის ენერგიის პროექტი მის მიერ მიღებულ განახლებად ელექტროენეგიას მიაწვდის ცენტრალური ქსელის ოპერატორს აზერენერჯის, რომელიც თავის მხრივ მიღებული ენერგიის ექვივალენტურ რაოდენობას მიაწვდის სანგაჩალის გაზის და ნავთობის ტერმინალს. ტერმინალის ოპერატორია ბიპი. ეს ხელს შეუწყობს საწარმოო ემისიების შემცირებას აზერბაიჯანში, რაც ტერმინალის ელექტრიფიკაციის საშუალებით იქნება მიღწეული და რაც თავის მხრივ, გამოათავისუფლებს საექსპორტო გაზს, რომელიც ამჟამად იმ ტურბინებს ამუშავებს, რომლებიც ტერმინალს აწვდიან ენერგიას.

საძიებო სამუშაოების განხორციელების უფლება და პროგრესი

ბიპიმ ხელი მოაწერა ხელშეკრულებას სოკართან, რომლის თანახმადაც უფლება მიიღო კასპიის ზღვაში მდებარე ორ ბლოკზე აწარმოოს საძიებო და განვითარების სამუშაოები, კერძოდ ყარაბახის ნავთობის საბადოზე, აშრაფი-დან ულდუზუ-აიპარა-ს ტერიტორიაზე (Ashrafi-Dan Ulduzu-Aypara (ADUA)). ბიპის ექნება 35% სამუშაო წილობრივი მონაწილეობა და გახდება თითოეული ბლოკის ოპერატორი, სადაც 65% წილობრივი მონაწილეობა ექნება სოკარს.

ამ შეთანხმებისგან დამოუკიდებლად, ბიპი და სოკარი შეთანხმდნენ, რომ თურქული TPAO-ს ექნება 30% წილობრივი მონაწილეობა შაფაგ-ასიმანის ბლოკის პროდუქციის განაწილების შესახებ ხელშეკრულებაში. სავარაუდოდ მოსალოდნელია, რომ ეს დააჩქარებს ბლოკის განვითარების შესაძლებლობების შეფასებას, რომელზეც 2021

წელს პირველი ჭაბურღილის გაჭრისას დაფიქსირდა გაზის კონდენსატის რესურსები.

ეს ხელშეკრულებები ბიპის სტრატეგიის ნაწილია, რომელიც მიზნად ისახავს აღმოჩენილ რესურსებზე წვდომას და ძიების მიმართულებების გადატვირთვას, რამაც უნდა უზრუნველყოს რეზერვების ჩანაცვლების კოეფიციენტის ზრდა 100%-მდე 2027 წლის ბოლოსთვის.